ეკონომიკის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2016 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

სამსახური ხელმძღვანელობს და საქმიანობას წარმართავს დამტკიცებული დებულებიდან და საქართველოს საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე.მიმდინარე 2016 წელში სამსახურის მიერ გარკვეული სამუსაოები იქნა გაწეული კერძოდ:

2015 წელსი ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით სამსახურის მიერ მოხდა ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო წინადადებების მომზადება და წარდგენა საკრებულოზე მოწონების მიზნით,შემდგომ გადაიგზავნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებსი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 630 263 ლარი ,

აქედან გზებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე 388 639 ლარი ,

ხიდების რეაბილიტაციაზე 48 538 ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 63 233 ლარი ,სარიტუალო დარბაზების აღჭურვა რეაბილიტაციაზე 34 922 ლარი ,

სასაფლაოების რეაბილიტაციაზე 14 572 ლარი , საქუჩო განათებაზე 45 548 ლარი ,

2 ერთეული ტექნიკის(ტრაქტორის) შეძენა 22 452 ლარი , სასოფლო კლუბის რეაბილიტაციაზე 8809 ლარი ,

მინი სტადიონის მოწყობაზე 700 ლარი, სხვადასხვა სამუშაოებზე 2850 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2015 წლის 23 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 2016 წელსი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო საპროექტო-დოკუმენტაციის შედგენისათვის გამოეყო 105 800 ლარი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეძენილი იქნა დოკუმენტაცია,ხოლო მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 დადგენილებით ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუსაოებისათვის გამოეყო 2 688 610 ლარი აქედან :

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა (გარდამავალი პროექტი 2 წელზე) 1 447 000 ლარი (შესრულება დღეის მდგომარეობით 80%)ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში,

დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის,გურიის,დუმბაძისა და კალანდაძის ქუჩების სემაერთებელი მონაკვეთის (კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე), გოგებაშვილის ქუჩის მეორე ნაწილის და კოსტავას ქუჩების (გორაბერეჟოულის გადასახვევთან) ა/ბეტონის საფარითა და ბეტონის სანიაღვრე არხებით მოწყობა, გოგიბერიძისა და ბენდელიანის ქუჩებზე ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა 463 998 ლარი(შესრულება დღეის მდგომარეობით 90%) , ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საჭამიასერი-კოხნარის დამაკავშირებელი და შუა ფარცხმის გზის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია 58 880 ლარი(შესრულება დღეის მდგომარეობით 100%)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ჩოხატაურში ყოფილი არქივის ,ყოფილი პოლიკლინიკის გამგეობის ფასადების და მშენებარე კულტურის სახლთან მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია 135 445 ლარი ლარი (შესრულება დღეის მდგომარეობით 60%)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ,სოფ ხიდისთავში საბავშვო ბაღის მშენებლობა 199 980 ლარი (შესრულება დღეის მდგომარეობით 50%) ,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში,სოფ.ჯვარცხმაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია 143 333 ლარი (შესრულება დღეის მდგომარეობით 80%)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ გორა ბერეჟოულში ხანზრის შედეგად დამწვარი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა/რეაბილიტაცია (შესრულება დღეის მდგომარეობით 70%)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ.ერკეთში საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარის მოწყობა 99 952 ლარი (ხელშეკრულება გაფორმდა ეხლა)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ.გორაბერეჟოული-ჯვარცხმის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარის მოწყობა 100 012 ლარი (ხელშეკრულება გაფორმდა ეხლა).

2016 წლის 2-4 და 14-17 იანვრის მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის დაზიანებული სახურავები აღდგენის სამუშაოებისათვის (სოციალურად დაუცველ მოსახლეობას)

მუნიციპალიტეტს გამოეყო 223 140 ლარი.აღნიშნულ სამუშაოების შესყიდვა მიმდინარეობს ელექტრონული ტენდერის საშუალებით.სულ დაზიანდა 110 საცხოვრებელი სახლის სახურავი.

ხიდისთავის საავტომობილო ხიდის აღდგენით სამუშაოებისთვის გამოყოფილია 1872 000 ლარი მიმდინარეობს ტენდერი.

მიმდინარე წლის 8 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითისამუშაოებისათვის საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 18 ივლის N1409 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოები.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაიგზავნა წერილი 9 ივლის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ცენტრალური წყალსადენის წყალსაქაჩი სადგურის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენითი სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ რომლის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 700 000 ლარი,ასევე თანხის გამოყოფის შესახებ 2015 წელში თებერვლის თვეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ჩოხატაური- ბუკისციხის საავტომობილო გზის 100 მეტრიანი მონაკვეთის აღდგენაზე,რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 202 560 ლარი.

ასევე გადაეგზავნა წერილი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ბუკისციხე-ზემოსურების 17კმ-ნი საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაციის თაობაზე,რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეადგენს 7 589 700 ლარს.

პროექტი შედგენილია ,რომლის დამზადებაზე დაიხარჯა 50 000 ლარი თანხა გამოეყო საქარტველოს მთავრობის განკარგულებით.